



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება

2-06-4-201702071236



N 06/2-რ  
07/02/2017

ქ.თბილისი

**სადაზღვევო ბროკერ შპს „ჩექვეი“-ს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე**

“დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 18 ნოემბრის N 09 ბრძანებით დამტკიცებული „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაუქმდეს სადაზღვევო ბროკერ შპს „ჩექვეი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404912378, სადაზღვევო ბროკერთა სარეგისტრაციო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N 012007) რეგისტრაცია.
2. დაევალოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ლიცენზირებისა და რეგისტრაციის სამმართველოს სადაზღვევო ბროკერთა სარეგისტრაციო რეესტრში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კონსტანტინე სულამანიძე

სამსახურის უფროსი